სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი

08 აპრილი 2022 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წლის 18 იანვრის N5 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ივანე კვიტაიშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;

ზურაბ ხეცურიანი – სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწპავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების მენეჯერი.

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;
2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება (79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება).

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის ბეჭდვითი მომსახურების (79823000 - ბეჭდვა და ადგილზე მიწოდება) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. თხუთმეტი შესაძლო პოტენციურ მომწოდებელს გაეგზავნა კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და შესასყიდი მომსახურების ამსახველი დოკუმენტაცია. საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომლებმაც წარმოადგინეს შემდეგი ფასები:

1) პოტენციური მიმწოდებელი 1 – 26389 (ოცდაექვსი ათას სამას ოთხმოცდაცხრა) ლარი დღგ-ს გარეშე.

2) პოტენციური მიმწოდებელი 2 - 28696.86 (ოცდარვა ათას ექვსას ოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 86 თეთრი) ლარი დღგ-ს გარეშე.

შესაბამისად სატენდერო კომისიამ იხელმძღვანელა პოტენციური მიმწოდებელი 1-ის მიერ მოწოდებული ფასით და განისაზღვრა ტენდერის საორიენტაციო ღირებულება 26380 (ოცდაექვსი ათას სამას ოთხმოცი) ლარი, დღგ-ს გარეშე.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა, რომლებმაც აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

კომისიამ დაადგინა:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.

2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს, ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

კომისიას თავმჯდომარეობდა: დავით ხვედელიძე -

კომისიის წევრები: ია ძებისაური -

ნიკო გიგოლაშვილი-

როსტომ თოლორდავა -

ივანე კვიტაიშვილი -

კომისიის აპარატის წევრი:

ზურაბ ხეცურიანი -